

130 000 ადამიანს საარსებო მინიმუმზე ნაკლები ხელფასი აქვს



130 000 ადამიანს ამ ქვეყანაში სახელმწიფოს მიერ დაწესებულ საარსებო მინიმუმზე ნაკლები ხელფასი აქვს, – ამის შესახებ პროფესიული კავშირების გაერთიანების თავმჯდომარემ, ირაკლი პეტრიაშვილმა საქართველოში კონფერენციის დაწყებამდე

მინიმალური ხელფასის თემაზე ჟურნალისტებს განუცხადა

მისი თქმით, სოციალურ-ეკონომიკური პოლიტიკის თვადსაზრისით, სახელმწიფოს მთავარი ფუნქცია ეკონომიკური ღონისძიების შექმნისთვის და ზოგადად, ეკონომიკის განვითარებისთვის ხელის შეწყობაა.

„სიცოცხლის უზრუნველყოფა გახდა სახელმწიფოს ფუნქცია. 130 000 ადამიანს ამ ქვეყანაში აქვს სახელმწიფოს მიერვე დაწესებულ საარსებო მინიმუმზე, ანუ რაც ადამიანს სჭირდება თვიდან თვემდე რომ იცოცხლოს, ამაზე ნაკლები ხელფასი. 100 დარბე ნაკლები ხელფასი აქვს 23 500 ადამიანს, რაც ბუნებრივია, ქმნის უამრავ გამოწვევას და საფრთხეს ქვეყნისთვის. ფაქტია ის, რომ ქვეყანას აქვს ამბიცია იმასთან დაკავშირებით, რომ სამართლიანი გარემო იყოს და სამართლიანი გარემო მანამდე ვერ იქნება, ვიდრე ბიზნესს ეძლევა საშუალება, რომ ბიუჯეტს ფული მოპაროს.

ფულის მოპარვა გამოისახება სწორედ დღეს არსებულ მინიმალურ ხელფასში. ვერ დამანახებთ ვერც ერთ დასაქმებულს, რომელიც 20 დარად თანახმაა, რომ დასაქმდეს, რაც ნიშნავს იმას, რომ კონვერტით ხდება ხელფასების გადახდა. კონვერტით ხელფასების გადახდა კი ნიშნავს იმას, რომ სახელმწიფო ბიუჯეტში საშემოსავლო

გადასახადი ადეკვატურად არ შედის.

აქედან გამომდინარე, ბიუჯეტს უჩნდება პრობლემები იმ სოციალურ გამონვევებთან დაკავშირებით, სადაც იგივე საარსებო შემწეობა გახდავთ 40-დან 60 დარამდე, რაც ასევე ბევრად ნაკლებია, ვიდრე სახელმწიფო სტატისტიკის სამსახურის მიერ დაწესებული საარსებო მინიმუმი. ეს არის კორსადური პრობლემები. არ ვამბობ, რომ ყვერაფერს მოაგვარებს მინიმალური ხელფასი და მხოლოდ 1 კომპონენტი, იგივე პროგრესული გადასახადები და ა.შ., მაგრამ ბევრი ჩვენი მოქალაქისთვის ადეკვატური მინიმალური ხელფასის არსებობა ქვეყანაში სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია”, – განაცხადა ირაკლი პეტრიაშვილმა.

მისივე თქმით, მინიმალური ხელფასის კუთხით, მთელ მსოფლიოში საქართველო 111-ე, ხოლო ევროპულ ქვეყნებში ბოლო ადგილზეა.

commercant.ge